

№ 19  
1938

# ნიშნები

ფასი  
60 კ

ქართული  
ბიბლიოთეკა

მ-ბ-მ "პრობუნობი" თბილისი.

9/1 849  
345



ზოგიერთ საბავშვო ბაღში

ნახ. 8. თოიძისა

- მასწავლებელს, ღას ნიშნავს მკურნალი?
- მკურნალი არის კაცი, რომელიც მკურნავს ავადმყოფს.
- თუ აგლეა ლატომ ამდენხანს ველ განკურნა ჩვენი ექიმი?





# ქიმი ტურქია ზ ხეძი კკრდყოფობმ

საქართველო  
გეოგრაფიული

სიცხე მაქვს. ვკვდები უთუოდ. მახველებს, ცხვირს მაცემინებს. ოფლი ვიწურები და ორთქლის ბულით ივსება ოთახი...

— ექიმი, ექიმი!—დავიძახე გამწარებულმა და თვალი დაეხუჭე.

შეშინებულმა ცოლმა ექიმს ტელეფონით გამოუძახა:

— მიშველეთ, ექიმო, სიცხე აქვს. ახველებს და ბული ასდის... ღიახ, ღიახ, ბული ასდის... არაფერია? არაფერი კი არა კვდება ექიმო. მიშველეთ რამე, წვრილი ბავშვები მყავს სარჩენი, თორემ...

აქ კიდევ უნდოდა განეგრძო ცოლს, მაგრამ იქვე შესწყვიტა, მეტის თქმა ველარ გაბედა. ეს რომ მომესმა კიდევ უფრო ცუდად შევიქენი. ვიფიქრე: ალბად ჩემს ცოლსაც მოგვებზრდი უკვე და ახლა ჩემი სიცოცხლე მხოლოდ ბავშვების რჩენისათვის სჭირვებიათქო და გული ამიჩუყდა, კინალამ ტირილი დავიწყე.

— მოშორდი ტელეფონს, არ მინდა ექიმი! გავძახე ცოლს და ბრაზისაგან საბანი ძირს გადავავდე.

— არა, გენაცვალე!—მომგარდა ცოლი და ენა გაატკბილა— არაგრცხვენია!.. ახლავე მოვა ექიმი და მორჩები გენაცვალე!


— ექიმი კი არა, — მიუგე გაჯაფრებით, — შენ ჩემი სიცოცხლე მხოლოდ ბავშვების სარჩენად გლომებია. არ მინდა! მოგვკვდები შენს ჯინაზე და მაშინ ნახე.

— არა გენაცვალე, არ მეგონა თუ გაიგონებდი...—წამოცდა ცოლს და აჩქარებით ენა მოიკვნიტა, — არა, არ მითქვამს არაფერი, მაგრამ რა მექნა ისე ექიმი არ მოვიდოდა, ხერხი ვიხმარე, — დაბოლოს გამოასწორა და საბანი წამომასურა.

სიკვდილი მინდოდა, სიკვდილი.

ცოლის უკვე არაფერი არ მჯეროდა. მის ჯინაზე სიკვდილს ვნატრობდი.

ბოლოს ცოლმა ძლივს დამაწყნარა, ვინ იცის რა არ შემპირდა, გული გამიკეთა და მეც რამდენიმე ტკბილი სიტყვა დავხარჯე ცოლთან.



ამ დროს კარზე დააკაკუნეს.

ექიმი იყო. ქოჩორი გვერდზე გადაევარცხნა და რიხით მომაღდა.

— სად არის ავადმყოფი?—იკითხა მან და ირგვლივ მოაცეცა თვალები. იმ ოთახში ერთი საწოლი იყო და შიგ მე ვიწექი, მაგრამ

ექიმმა მაინც ვერ დამინახა და კედელს ისე მისჩერებოდა თითქოს ავადმყოფი კედელზე ყოფილიყოს მოთავსებული. კედლები, რომ კარგად მოსინჯა, შემდეგ ჩემს ცოლს მიაჩერდა თვალებში და ახლა უფრო მოშვებით ჰკითხა:

— თქვენა ხართ, არა?

— არა, ექიმო, ავადმყოფი ლოგინში წევს.

— ლოგინში? სად არის ლოგინი?

— აი, თქვენს გვერდით ექიმო!—გაკვირვებით მიუგო ცოლმა და ჩემზე უჩვენა.

— აჰა, ეს ქმარია თქვენი, არა?

— ღიახ?

— რამდენი წლის იყავით, როცა შევირთოთ ცოლად?

— წლის?—აბნეულად მიუგო ცოლმა—ოცის ბატონო... მაგრამ...

— ღიახ, ღიახ, ეგ არაფერი. ახლა ის მითხარით, თქვენი ქმარი რამდენის იყო?

— ოცდა ორის ექიმო. მაგრამ...

— მაგრამ, რა მაგრამ?—ცუდი ქმარი გამოდგა არა?

— არა, ექიმო, საუცხოვო ქმარი გამოდგა, მაგრამ ეს საკითხი ჩემი ქმრის ავადმყოფობას ხომ არ ეხება?

— ღიახ, ეხება, რატომაც არ ეხება! ყველაფერი ეხება ავადმყოფობას. ახლა ის მითხარით, თქვენს ქმარს შვილი ეყოლა?

— ღიახ, მეყოლა:—გაკვირვებით მიუგო ცოლმა და სახეზე შეწითლდა.

— თქვენ კი არა, — გაუსწორა ექიმმა — მე ვამბობ თქვენმა ქმარმა თუ... დალახგროს ღმერთმა, ველარ გაიგეთ?

— ღიახ, ღიახ, გავიგეთ ექიმო, მაგრამ ეს რა საკადრისია. — უქმყოფილოდ მიუგო ცოლმა და სახეზე უფრო გაწითლდა. „რატომ გაწითლდა?“ — ვიფიქრე მე — „ვაი, თუ ჩემ ცოლს ეგ საქმე საეჭვოდ მიაჩნია, ეს ხომ უფრო ცუდი ნიშანია, ვიდრე ჩემი ავადმყოფობა“.

— აჰა, აჰა, — თითქოს ნასიამოვნები, თავის ქნევით დაუმატა ექიმმა — კარგი ძვირფასო, გასაგებია, მაგრამ მითხარით ძვირფასო (გაახშირა ექიმმა სიტყვები „ძვირფასო“ და „გენაცვალე“) რატომ აქამდე არ აცნობეთ ექიმს ეს ყველაფერი?

— რა ეს ექიმო? ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ეს საკითხები ავადმყოფს არ ეხება! — მიაძახა ცოლმა ექიმს და ოთახი დასტოვა. გულში უფრო დიდი ცეცხლი ამენტო და კბილები ავაკრატუნე.

ექიმი ადგა, ამოიხვნეშა და ჯიბეებში ხელების ჩალაგებით ოთახში სეირნობას შეუდგა. ბოლოს, როგორც იყო, ახლოს მოვიდა, შეჩერდა ლოგინთან და სტვენა დაიწყო.

— დიდხანია ავად ხართ, არა? — როგორც იყო შემეკითხა ექიმი და იქვე ჩამოჯდა.

— დღეს დილით ცუდათ ვიგრძენი თავი. ეს არის დაღამდა. ორმოცი გრადუსი სიცხე მაქვს ექიმო. მახველებს, ცხვირს მაცემინებს და ოფლი მომდის.

— რას იზამთ. აგრე იცის ავადმყოფობამ. სიცხე, ხველება, ოფლი, სიკვდილი და... მაგრამ ჰო, ჭაჭებში ქვა ხომ არ გქონებიათ ოდესმე?

— რას ამბობთ ექიმო, ქვა კი არა გავცივდი — ალბათ.

— ღიახ, გაცივებულხართ, სჩანს, მაგრამ ეს ხველება...

— ხველებაც ხომ გაცივებამ იცის ექიმო. გრიპზე ასე მიშვება ყოველთვის.

— ღიახ, გრიპმა იცის ხველება, შემდეგ ისიც არის, რომ გრიპი კიდევაც ამუნჯებს კაცს, სმენას და მხედველობას უკარგავს და ვინ იცის კიდევ რამდენი რა.

— რას ამბობთ ექიმო! — მივაძახე გულგახეთქილმა და ბოლოს ვკითხე: — რა არის საჭირო, რომ განვიკურნო ექიმო?

— გრიპის წამალი ჯერ არ არის გამოგონილი, — ღრმად ჩაფიქრებით მიპასუხა ექიმმა, — ამბობენ გრიპი ტიფის ბაცილებისაგან





ბ ე რ ლ ი ნ ი ს ქ უ ჩ ა ზ ე

— რატომ დააპატიმრეს ეს ექიმი? ავადმყოფი შემოაკვდა?  
— არა, მაგისტრის ხმას ვინ გასცემს, ტუბერკულოზიანს კარაქის ჭამა ურჩია.

წარმოსდგებაო. სწორედ რომ ვიმსჯელოთ ესეც მართალია. ტიფი და გრიპი ძლიერ ჰგავს ერთმანეთს: ორივემ სიცხის აწევა იცის. ისე ჰო, სიკვდილიც ორთავემ იცის.

— მე მგონია ექიმო, რომ ასპირინის დაღვევა და ოფლის გამოყვანა არის საჭირო.

— დიახ, დიახ, ეს კარგი საშუალებაა, მაგრამ ისიც კარგი იქნებოდა ოყნას რომ გაიკეთებდეთ და გასაწმენდს დაღვედეთ.

— ოყნა და გასაწმენდი რათ მიინდა ექიმო, მუცელში კი არ ვარ შეკრული.

— ჰო, შეკრული კი არა, მაგრამ უკანასკნელი ზომაა ეს.

— არ გამსინჯავთ ექიმო?

— კარგი. რაკი გსურთ გაგსინჯავთ—მიპასუხა და საქმეს შეუდგა. უმოწყალოდ მიბრაზუნა ხელები ზურგზე, მუცელზედაც დამალო სასინჯი და ყური დაუგდო.

— რას შვებით ექიმო, მუცელზე სასინჯი ვის გაუგონია?!

— ჰო, როგორ არა, ეს ახალი მეთოდია და საჭირო არის, — მიპასუხა და ზეზე წამოდგა. დადიოდა, არაფერს არ ამბობდა.

— რას იტყვით ექიმო, გრიპი მაქვს, არა?

— დიახ, გრიპია. მაგრამ რაღაც სხვანაირი გრიპია ეს ოხერი.

— როგო ექიმო, — მივაძახე გულგახეთქილმი — ფილტვების ანთება ხომ არ მემართება?

— გრიპსა და ფილტვების ანთებას შორის დიდი განსხვავება არ არის. შესაძლებელია მუცლის ტიფზედაც გადავიდეს, მხოლოდ ეს ქეიფის საქმეა. რას იზამთ.

ამის შემდეგ მეტი შეკითხვა აღარ მიმიცია. უკვე დაფრწუნდი, თუ როგორი ექიმიც იყო ბურძღლა და საბანი თავზე გადავიხურე, რომ ისევე ოფლი გამომეყვანა და ამით გრიპისათვის ბოლო მომელო. ექიმი კი განაგრძობდა დარიგებებს და რეცეპტს სწერდა.

— მაშ აგრე. ოყნა და გასაწმენდი ზეთი საჭიროა. ხინაც დალიეთ. თუ სიცხემ იმატოს, აღუღებულნი წყლით სავსე ბოთლები შემოილაგეთ და ცხელ წყალში ჩადევით ფეხები. ცოტა რამე წამლებს კიდევ გამოგიწეროთ და დღეს გეყოფა. ამაღამ თუ გადარჩით, ხვალ კიდევ ცოცხალი იქნებით.

მე ხმას აღარ ვიღებდი და, რომ ექიმი ბურძღლა კიდევ უარეს ამბებს არ მოჰყოლოდა, ყურებში თითო დავიცე და თავი მოვიყრუე. კარგა ხნის შემდეგ, საბნიდან ფროთხილად გამოვიხედე. არავინ იყო. მხოლოდ ახლა მეორე ოთახის გასასვლელ კარებთან ექიმს — ჩემს ცოლთან გაება საუბარი და აღარ ათავებდა. ბრაზი მომივიდა. ლოგინთან დადგმული სკამი წავაქციე და მაშინვე ექიმ ბურძღლასა და ჩემს ცოლს შორის გაბმული ჭუჭყუკი შეწყდა.

კარიც მოიხურა და, როგორც იყო სახეშეფერადებული — ცოლი შიგ შემოვიდა.

ექიმ ბურძღლას რეცეპტები იქვე დავხიე, ჩემს ცოლს მივაყარე თვალეში და ცოტა ხნის შემდეგ სიცხე, რომ გავისინჯე, ნორმაზე იყო: ეჰ, როგორ მომიხდა ექიმი ბურძღლას წამლობა? — ვიფიქრე მაშინ და ავადმყოფობისას ყველა ჩემს მოკეთეს მხოლოდ ასეთი ექიმი უსურვე.





უბა ევროპის უაზრბური „ოპერაცია“

ანსენბეგი ანუ ინგლისი და საფრანგეთი: — კიდევ რა ხელსაწყო გნებავთ ბატონო?  
 „ჰიტლერის“ ანუ გერმანიის უაზრბუმი: — მოითმინეთ როცა დამჭირდებით თვითონ გიბრძანებთ, ეხლა კი დაჩუმდით!  
 ანსენბეგები: — (ერთხმად) კეთილი ბატონო!



# მეტოქვევა საკუთარი საკადმოფობა



საგარეჯოში ვიყავ  
რაღაც გამიდგა წელში,  
ხმა ველარ ამოვიღე  
სიტყვა გამიწყდა ყელში...

არიქა მეგობრებო —  
ხელით ვანიშნე ყველას,  
ჩქარა ექიმი თორემ  
ველარ მოასწრებთ შველას!

ნუ გეშინია კაცო  
ჩვენ არ დაგტოვებთ ველად,  
სამკურნალოში იქვე  
მიმაგრიალეს ხელად...

უკვე ლოგინში ვწევარ  
ძლივს გავახილე თვალი,  
ვხედავ რომ ქოლგით ხელში  
ვიღაც კობწია ქალი —

დადის და ავადმყოფებს  
რაღაცებს ეკითხება,  
თან ახალ ტანსაცმელზე  
მალმალე იხედება.

ზოგს შეუყვირებს კიდეც —  
„გული რას გააწყალეთ,  
ხმა ჩაიწყვიტეთ თორემ  
აიბარგებით მალე!“

ექ. თანაშემწე არი  
ეს ქალი გილაშვილი,  
თეთრ ხალათს არ ჩაიცვამს,  
რომ მოუნათლო შვილი.

დალამდა... ვკენესი ძალზე  
არავენ არის მხსნელი,  
ალბათ ექიმი მნახავს  
როცა გაივლის წელი...



ვხედავ გამოდის მწყობრად  
ბალღინჯოების ჯარიც,  
ვყვირი, ვღრიალებ, ვკენესი  
ნახევრად ცოცხალ-მკვდარი...

ბრძოლაში გავათენე  
ის ლამე დაწყევლილი,  
დილით მეწვია უკვე  
კატო იმედაშვილი.

იმედი მომკა, მითხრა:  
ექ. თანაშემწე ვარო,  
ფიქრი ნურათფრის ნუ გაქვს  
დარდი არ გაიკარო.

ვინც ავადმყოფი არის  
მორჩება, ან მოკვდება,  
წამლის მიცემა მათთვის  
მთელი დღით გვავიწყდება.

ყველა ერთგულად ვშრომობთ  
მთელი მედ-პერსონალი,  
და გვიკვირს ავადმყოფნი  
რაზედა არიან მწყურალნი?!

წელის ტკივილმა განვლო  
უკვე ავდექი ფეხზე,  
და ყველა საკბილონი  
ავაგე ჩანგლის წვერზე!

დავითა

## მკურნალობის ახალი მეთოდი

„Сам играет, сам танцует, сам же песенки поет“.

ორი მეგობარი ქუჩაში შეხვდნენ ერთმანეთს.

— სად მიიჩქარით ილიკო?

— ცოლი ავად გამიხდა სიმონ და აფთიაქში წამლისათვის მივიღეარ.

— არ შეცდეს ილიკო. — მიაძახა სიმონმა მეგობარს.

— რა იყო შე კაცო? — შეეკითხა ილიკო და სმენად ვადაიქცა.

— არ შეცდეს მეთქი გეუბნები, შე კაცო, ქვეყანამ გაიგო და შენ ველარ გაიგე?!

— რა იყო კაცო, აღარ მეტყვი?

— რა იყო შე კაცო და ის იყო, რომა ახლა რეცეპტები და სხვა წამლობა აღარ არის საჭირო. თურმე ჩვენი ჯანსაჯომელები ერთი ცნობილი სურათით არჩენენ ყველას.

— სურათით?! — გაკვირვებით, თანაც გაგრძელებით შეეკითხა მეგობარს ილიკო.

— ჰო, სურათით. — სავსებით სერიოზულად განაგრძო სიმონმა, — საქართველოს ჯანსაჯომს უკვე გამოუცია ჟურნალი „საბჭოთა მედიცინის“ 7-8 ნომერი — ეს ჟურნალი თითონ სახკომის ამხ. ო. თოღაძის რედაქტორობით გამოდის, შიგ არის მოთავსებული მისივე შესავალი სტატია და აგრეთვე ცალკე ფურცელზედ ჟურნალის შესავალშივე მოთავსებულია სახკომის, ამხ. ო. თოღაძის მშვენიერი სურათი. ჰოდა, როგორც კი აჩვენებთ ავადმყოფს სახკომის ამ სურათს, იმ წამსვე განიკურნება. სხვა არავითარი წამლობა ქვეყანაზედ აღარ არის საჭირო.

— ნეტავი ასეთი ძალა აქვს ამ სურათს? — გაკვირვებით შეეკითხა მეგობარს ილიკო და პირი ღია დარჩა.

— ნუ ხუმრობ ილიკო, — განაგრძო სიმონმა, — ამ ჟურნალს სხვა ძალაც აქვს, მაგრამ ეს მთავარია. მაგალითად ამ ჟურნალში მაინცდამაინც პოლიტიკის საკითხებით თავს არ იწუხებენ და მხოლოდ „დისერტაციების“ და ტიტულების ძალით „გვამდიდრებენ“. აი, ეგ მესმის! ასეთი ჟურნალი აუცილებლად „განკურნავს“ ავადმყოფს ყოველგვარი „შიაარსი“-ს გარეშე. დაიმახსოვრე — სიტყვა „შიაარსი“ ამავე ჟურნალიდან არის ნასესხები და ამბობენ ავადმყოფზე ასეთი სიტყვებიც ძალზე მოქმედობსო.

— მიშველე სიმონიკავ! — გახარებულმა ილიკომ ახლა მეგობრისადმი უფრო დიდი სიყვარულის გამომჟღავნების ნიშნად სიმონი „სიმონიკა“თი შესცვალა და აქამდე დაღებულ პირი აამოძრავა, — მიშველე, კაცი არა ხარ! სად იზოგება ნეტავ ეს ჟურნალი?!

— შე კაცო — არხენად მიუგო სიმონიკამ, — სამი მანეთი შენ, თუ არა გაქვს, ახლავე გასესხებ და გაიქეცი, არავენ მოვასწროს, თორემ შემდეგ გვიან იქნება. მე ერთი ვიყიდე, მაგრამ იმას ვერ შეველვი.

— მშვიდობით სიმონიკავ, მშვიდობით. — ერთი კი დაიძახა გახარებულმა ილიკომ და თავზე ქუდმოგლეჯილი გაიქცა ამ სამკურნალო ჟურნალის „საბჭოთა მედიცინის“ 7-8 ნომრის სასყიდლად.

— სიმონიც კმაყოფილი დაბრუნდა შინ, რაკი ასეთი საქველმოქმედო საქმე ჩაიდინა და უახლოესი მეგობარს საყვარელი ცოლის განკურნების წამალი ასწავლა.





ექიმმა დოსტაქარიძემ უკანასკნელ კლიენტს დაუძახა.

— ჰექიმჯან, შენ სიყმეს ვენაცვალე, ერთი ვნიმატელნათ გამ-  
შინჯე, იქნება შენ მაინც იპოვნო, — ხენეშით შეილაპარაკა კაბინეტში  
შესულმა გეომ, მეტსახელად მიკიოტმა.

— რა უნდა ვიპოვნო?

— ის ბემურაზი რაღაცა ბაცილა ყოფილა, თუ დოზანა.

— უჩივით, რასმეს? რა ბაცილაზეა ლაპარაკი?

— ვა, უჩივი რომელია, ვერა ხედავ კაცი ჩამოვხმარვარ, კი-  
ტრის ნაფცქვენსა ვგვეარ?

— მაინც რა გტკივა?

— აი აქა, ბოქვენს ქვევით, საზარდულთან ბეხასტონოეჩნი  
ჭვალი მაქვს, ტკივილი მაწუხებს, ჰამაც იშტა დაკარგული მაქვს.

— აბა ვნახოთ, გაიხადე...

გეო შეეყოყმანდა.

— ჰექიმჯან, ისე არ შეიძლება შამატყო?

— როგორ „ისე“?

— ისე რაღა, ტანისამოსში.

— ეგ რაღა მოდაა, ტანისამოსში როგორ შეიძლება?

— ვა, ჩუღურეთში ხუთ წელიწადს ვწამლობდი მკითხავ—ჰე-  
ქიმბაშ კილაძესთან, —სულ ტანისამოსიანათ მატყობდა, ნამდვილი  
ჰექიმისთვის უფრო ადვილი არ არის?

თუ ნაკლებს ვილაპარაკებთ, საქმისთვის ის აჯობებს, გაიხადე.  
მიკიოტმა ყოყმანის შემდეგ პერანგი გაიხადა და დოსტაქარი-  
ძეც საქმეს შეუდგა:

— ისუნთქე! კიდევ! კმარა! ასე. გტკივა? აქ გტკივა? აქა?

კლიენტი შესაფერ პასუხება აძლევდა. უკანასკნელ შეკითხვაზე,  
როცა დოსტაქარიძემ მარჯვენა ფერდის ძირში ხელი დააჭირა,  
გეომ უცბად შეჭყვირა.

— ოოჰ, ჰექიმჯან, ნელა რაღა, ჯიგარი დამეყევა!

— ის არის, —ცივად მოსჭრა დოსტაქარიძემ, —ის არის.

— რა არის ჰექიმჯან?

— აპენდიციტია.

— ეგ რაღა დოზანა უნდა იყოს. იძახდნენ თუ ბაცილა ჩა-  
გძრომიო, ახლა კი მაგისტანა ჰაკარაკი რამეა?

— აპენდიციტია, გაჭრა მოვიხდებო.

— რის გაჭრა გაჭრა ჰექიმჯან? —შეშინებით შეეკითხა მიკიოტი.

— მუცლის გაჭრა, რომ მოგჭრათ.

— ვა, მამაცხონებულო, მოგაჭრათ რომელია, წიწმატის ყლორ-  
ტი ხომ არ არის?

— წიწმატი კი არა, აპენდიციტია, —ირონიით მიუგო დოსტა-  
ქარიძემ.

— მაინც რა არის ეგ აპელდინციციკი?

— ბრმა ნაწლაგია.

— მახლაზ, მართლაც რომ დროება გამაიცვალა: არა, ამ ბე-  
მურაზ ნაწლაგებსა თავის დღეში თვალები არა ჰქონიათ, ეხლა  
თვალებიც გამოვბათ და ჰამაც დაბრმავდნენ?

— ბრმა წელია მეთქი, —მორჩა და გათავდა.

— თუ ბრმაა, მაშინ აჩეები გაუკეთოთ, იქნება დაინახოს!  
მოჭრას რას ემართლები?

— ერთის სიტყვით, ოპერაცია აუცილებელია.

დოსტაქარიძისა და გეოს დიალოგი დიდხანს გაგრძელდა.  
ექიმმა, როგორც იყო, განუმარტა მას ავადმყოფობის ხასიათი, და-  
არწმუნა, რომ ოპერაცია ძნელი არ არის და დაიყაბულა გაჭრაზე.

\* \* \*

ეს იყო შესავალი. ნამდვილი ამბავი მეორე დღეს მოხდა, რო-  
ცა დოსტაქარიძემ ოპერაცია დაამთავრა და ავადმყოფს მუცლის  
ღრუ გაუკერა. საჭირო იყო ნაკერის ძაფების მოჭრა. დოსტაქარიძე  
ჩქარობდა, რადგან ნარკოზი უკვე ნელდებოდა, ჭრილობა წვას და-  
უწყებდა.

— მომაწოდეთ მაკრატელი! —ცივად მიმართა დოსტაქარიძემ  
ფერმალ ქალს.

მაგიდაზე მაკრატელი არ აღმოჩნდა. დაიწყო ძებნა, ფუსფუსი.

— მაკრატელი!, —გაიმეორა ექიმმა.

მაკრატელი არ სჩანდა.

— რა იქნა მაკრატელი?

— თქვენ... თქვენ გეჭირათ ახლა, —შებენდა ფერმალმა ქალმა.

— მე? მერე რა იქნა?

— თქვენ გეჭირათ და მეც მაგას ვკითხულობ სად უნდა წა-  
სულიყო.

— მე რათ მინდოდა, რას ჩერჩებობ! —გაცხარდა დოსტაქა-  
რიძე.

— აი ბრმა წელის დაჩირქებული ნაწილი რომ მოჰკვეთეთ.

— ჰო, მართალია, მაგრამ რა იქნა?

— არ ვიცი, ამხანაგო ექიმო.

— „არ ვიცი, არ ვიცი“, —გააჯავრა დოსტაქარიძემ, —ნემსი  
ხომ არ არის, მაკრატელია, როგორ გაქრა? დაუყოვნებლივ მონახეთ.

ძებნა გაცხოველდა, ყველა გაფაციცებით აწყდებოდა აქეთ-  
იქით, ეძებდნენ მაგიდის ქვეშ, სკამებზე, თაროზე, ფანჯარასთან,  
თვით ჯიბეებშიც კი. ცამ ჩაყლაპა, თუ მიწამ —კვალი აღარ აღ-  
მოჩნდა.

— მაკრატელი! —დაიღრიალა ბოლოს ექიმმა ისე ხმამალა,  
რომ გეოს გამოეღვიძა და კენესა დაიწყო. შეშინებულმა დამლაგე-  
ბელმა, საიდანღაც მოარბენინა შავი, პირბლაგვი მაკრატელი.

— ეს ხომ არ გამოდგება?

— ვის გამოართვი?

— პარიკმახერსა ვსთხოვე, ექიმო.

— „პარიკმახერსა ვსთხოვე“, —გააჯავრა იმასაც დოსტაქარი-  
ძემ, —მერე პარიკმახერის მაკრატელი საოპერაციოდ გამოდგება? არ  
იციოთ, რომ გულისყური და სისუფთავეა საჭირო? მიმართა მან დამ-  
ლაგებელს და პარიკმახერის „სუფთა“ მაკრატლით შეაჭრა ძაფები  
გეოს.

— ვაი, ვა-ა-ი, მჩხვლეტს, ფერდში მჩხვლეტს, ჰექიმჯა-ა-ნ! —  
გმინვით გაიძახოდა მიკიოტი, როცა ის საოპერაციო ოთახიდან  
გაჰყავდათ.

— არაფერია, ახლა ყველაფერი გაივლის, მალე მორჩები, —  
ანუგეშა დოსტაქარიძემ და კვლავ მაკრატლის ძებნა დაიწყო.

— ეს შეუძლებელია, დაუჯერებელია, ჩემს კლინიკაში, ჩემს  
თვალწინ, როგორ უნდა დაიკარგოს მაკრატელი? —ბობოქრობდა  
ის, —ამას ვერ დაუშვებ, რაც უნდა მოხდეს, მაკრატელი უნდა აღ-  
მოჩნდეს, —მუქარით განაცხადა მან.

აღმოჩნდა, რომ ოპერაციის პროცესში დამლაგებელ ქალს  
გაეტანა ტაშტი —სისხლიანი მარლის ნაჭრებით. ამან დოსტაქარიძე-  
ში გარკვეული ეჭვი დაბადა.

— ახლა კი მესმის, —დამიძახეთ დამლაგებელს.

დაუძახეს.

— მაკრატელი უნდა გააჩინო —მუქარით უბრძანა მას. უნდა  
გააჩინო ახლავე, თორემ...

— ვეძებე ექიმო, ვეძებე და ვერსად ვიპოვე, თურმე თქვენ  
გეჭირათ და...

— მაშ ისე გამოდის, რომ მე მომიპარავს არა? —გაბრაზებით  
შეაგება დოსტაქარიძემ, —არა როგორ მოგწონთ ჰა, როგორ მოგ-  
წონთ გეთაყვათ ეს ამბავი?

ერთის სიტყვით, ამბავმა მეტად რთული ხასიათი მიიღო. მა-  
კრატელი გადაჭრით დაიკარგა. ამას მოჰყვა ეჭვი დამლაგებელზე,  
გამოძიებები, დაკითხვები, ოქმები და ბოლოს საქმე დამლაგებლის  
დათხოვნით გათავდა. გაჩნდა მიწერ-მოწერა, ატყდა ქალაღების  
კორიანტელი.


— რათაც უნდა დამიჯდეს, მაინც ვიპოვი იმ მაკრატელს,  
მაინც ვიპოვი, გაიძახოდა დოსტაქარიძე.

\* \* \*


ღრო კი გადიოდა და მიკიოტის ჯანმრთელობა უარესდებოდა.  
დიდხანს იზავდლევდა, გახდა, ჩამოკენა, მართლაც კიტრის ნა-  
ფცქვენს დაემგვარა, თუმცა ჭრილობა შეუხორცდა, მაგრამ მაინც  
განუწყვეტლივ გაიძახოდა:

— ჰექიმჯან, აქ, ფერდის ძირში, საზარდულთან მაგარი რამე  
მჩხვლეტს, მტკივა ჰექიმჯან, ვაჰ, რა ხათა რამე ყოფილა ეს ბრუ-  
ტიანი ნაწლაგი.





# პირდაპირი მარშრუტი...



ზოფერი:—აბა, ვინ ღარჩა. კიდევ მაქვს ოცი ადგილი...

დადგა საკითხი მიკიოტის ხელმეორედ განკვეთის შესახებ. ხუმრობა ხომ არ არის, სამედიცინო დასკვნისათვის ამ განკვეთას დიდი მნიშვნელობა ჰქნოდა: ამოჭრილი აპენდიქსი მორჩა, ავადმყოფი კი მაინც ტკივილისაგან იტანჯებოდა, ისევ გამოტეს ავადმყოფი, ისევ დააძინეს, და ლანცეტი დაუსვეს.

ოპერაციას კვლავ დოსტაქარიძე აკეთებდა. გარს დამხმარე ექიმები ეხვივნენ. განკვეთა მან მოახდინა ძველი ჭრილობის ხაზზე. ჩახედ-ჩამოხედეს, ბრმა წელი მისწი-მოსწიეს.

— საკვირველია, — ამბობდნენ ექიმები, — ყველაფერი თავის რიგზეა, მაშ რა იყო მიზეზი?

— „ძებნა“ დიდხანს გაგრძელდა.

— ვ-ა-ა-ი-ი, თქვე ბემურაზებო, რა ჰარისასავით მირევთ ხელებს მაგ სტომაქში—მტკივა რაღა, შეჭყვირა მათ უცბათ გამოღვიძებულმა ავადმყოფმა.

— არა უშავს, მოქალაქევე, ცოტა მოითმინეთ, ანუგეშეს ის.

— ა-ა. ვიპოვე. ვიპოვე. — აღტაცებით წამოიძახა დოსტაქარიძემ.

— მართლა? — აი რას წინშავს ექიმის ნამდვილი ფხიზელი თვალი, მართლა იპოვეთ.

— ჰაა, რა იპოვე ბალუზნის ბაცილა იპოვე? დაიჭი, არ გაუშოვგ ბემურაზი ეგა, — წამოიძახა უკვე გამოღვიძებულმა და ლონემოკრეფულმა მიკიოტმა.

— ვიპოვე, აკი ვამბობდი, რომ უთუოდ ვიპოვი მეტქი, — სთქვა ეს და დოსტაქარიძემ მიკიოტის მუცლის ღრუდან ამოიღო თავისი სადოსტაქრო მაკრატელი.

ექიმები გაშეშდნენ. მიკიოტმა კენესით წამოიწია, თითქმის წამოჯდა. გაოცება, გაბრაზება, შიში ყველაფერი ერთად იყო იმის თვალეზში.

— ჰეჰეჰეჰე, შე ბემურაზო, იძახდი თუ უნდა მოგაქრაო, — მე გებნებოდი თუ აქკები გაუკეთე მეტქი, აქკების მაგივრად შენ მაკრატელი გაგიკეთებია? ჰამაც ერთი ის მითხარი, ჩემი ნაწლავი ყოფილა ბრუტიანი თუ შენა... ე-ე, ბნელა?

ამის შემდეგ მას გულს შემოეყარა.



ლიქიორის მისაგამ ძარხნის ღირებულების—აკაკი ანთაქისაღმი, ოღეს გაიგო სამხენი მისი საგმირონი


ბულაღარსა კაიშაურს შეჩვევია ცუდი სენი — ბეთანიას ხშირად ჩაყავს ხან ისინი, ხან ესენი. ბიძა, რძალი, სიძე, ქვისლი (სიმამრიც კი დააფასა) — ყველა ერთად შეექცევა სახელმწიფო ულუფასა. „ბეთანია“ თურმე არის დასასვენნი მყუდრო სახლი, კაიშაურს იქ ჰგონია თავის ბინა, თავის დახლი: ძროხა, ღორი, სხვაც ბევრი რამ უყიდია კაიშაურს და ამიტომ ნუ დამძრახავთ თუ ავტებავ აურ-ზაურს. მოდი კითხვა ასე დავსვათ: საიდან აქვს გოგის ფული? ჩიჩიკოვი ხომ არ არის, რომ გაყიდოს „მკედარი სული“! მაგრამ ამას მე საფუძვლად ვერ დაუდებ აურ-ზაურს... რადგან კაი ათასი სჯობს, ჩემო ძმაო, კაი შაურს... თავლაფ-დამსხმელ ასეთ ამბაკს მინდა კიდევ მიუმატო — ერთი „მცირე“ ისტორიაც საჯაყი და საკვიმატო. ერთხელ თურმე კაიშაურს გახდომოდა ავად ღორი, წმინდა სისხლის იოქშირი, ღორთა შორის პროფესორი. კონსილიუმს დაედგინა: შეყრილი აქვს ღორსო ჭირი, (ღორს რომ ღორის ჭირი შეხვდეს — ეს არაა გასაკვირი). ავადმყოფმა თავის ბედი, მყისვე გაითვალისწინა, მაგრამ ჭირსა ვერ გაუძლო და „გარდაიცვალისტინა“. ღორის პატრონს ელდა ეცა — ამერია ცხოვრებაო, თუ ღორი არ გავინაღდე, მე აქ არ მეცხოვრებაო... ცოლსა უთხრა: ეს საკითხი არ არისო საკამათო — ავიღოთ და ღორის ლეში დამსვენებლებს ვაჭამოთო. ასე თქვეს და გადასწყვიტეს, სიტყვა-საქმეს შეახამეს, ჭირიანი ღორის ხორცი დამსვენებლებს შეაჭამეს... აი, სახე „მიმზიდველი“ ბუხი კაიშაურისა, ჰა, საბაბი შესაფერი ამტყდარ აურ-ზაურისა. და ჩვენ გვიკვირს, რატომ დღემდე დანავარდობს ბეთანს გოგი — ეს ბოროტი საქმეების „ინსტრუქტორი — პედაგოგი“?!

აბუზარა

კარგი რამ გჭირდეს — გიკვირდეს, ავი რა გასაკვირი, ქებათა ქება მათლამი, ვინც გაიშავა პირია!... ამბობენ ქარხნის მუშები გარბიან შენი შიშითა, ყველა გაძაგებს, გახსენებს ლანძღვით და ვაი-ვიშითა, ვერ გაათეთრებ ყორანსო, ბევრიც რომ ხეხო ქვიშითა, არც მოიგების ჭადრაკი უშინაარსო ჭიშითა... რუსთველი „კარგად გცოდნია“, მითი ხარ დადაგულია, — ჰამა-სმა მეტად შესარგი, დება რა სავარგულია, უფასო სადილს მიირთმევ, აღარ გჭირდება ფულია, უფულოდ შეჭამ — შენია, თუ არა დაკარგულია... როგორც ტარიელს აეთანდილ — ღორთქიფანიძე გშვენიო, — იო, რა წმინდად დავიცავს ანდერძი მამაშენისო! თუ მომავალი არ გწყალობს, აწყყო ხომ მაინც შენია, მიტომაც ქარხნის მიდამო მოყვრებით მოგიფენია... მსურს მზეზე გამოვიტანო ამბები მდევთა-მდევისა, ყველას ვასმინო ქუხილი შენი გეგმების რღვევისა... როცა გავიგე მე შენი საქმენი საგმირონია, მყისვე ვაფრინე დესპინი, ჟამი არ დამიყოვნია, მაგრამ დაბრუნდა დესპანი-აღელვებული მწარეთო, მიაშბო შენი ამბავი — რომ გამოგეგდო გარეთო: — ვინა ხარ, საით მოსულხარ, მითხარი ვინ ხარ, ვინაო, ნიანგმა, როგორ გაბედა და ჩემთან მოგავლინაო, სად ლიქიორის ქარხანა და სად ნიანგის ბინაო, როგორც მოსულხარ, ბიძია, ისე წაბძანდი შინაო! ჩემი ქარხანა ციხეა და მე კი ციხისთავიო, ციხეში ლიქიორი მაქვს ღვინო და შილაფლაფიო... ერთი ამბავიც მიაშბეს — მეხივით გაფარდნილაო: საქდესის კორესპონდენტიც ამ დღეში ჩავარდნილაო. დესპანის მოხსენებაში ეჭვი არ შემიტანია, მიტომ ვარ აღელვებული, ბოლბა ვერ ამიტანია, მიტომ ვარ აღრინებული, მრისხანე მკაცრი, კულშტია — მგონი ვილაცა გასკდება, როგორც რომ საპნის ბუშტია ..

კლატონ-ბეი

ნახ. ღონისა



ტუიბულის მედპერსონალის საცხ. სახლის „მშენებლობა“

- დედიკო აქ რას აშენებენ?
- აქ შვილო რვა წლის წინათ მედპერსონალის საცხ. სახლის მშენებლობა დაიწყეს და...
- მაშ მე და ეს მშენებლობა ტოლები ვყოფილვართ.



# ტროლეიბუსები

ეროვნული  
ნიგელირთიქა



არც ისე იშვიათი შემთხვევა თბილისის ქუჩებში ..

## კ ე გ ო ს ა ნ ი

კეტოსანი, ეს სიტყვა, საშინელი სიტყვაა, მაგრამ ის მაინც სილოვან ანდრიაძის ზოო-თვისებას შეეხება, რომელიც საბოლოოდ ა.წ 24 აგვისტოს გამოემუქა.

გოჩა-ჯიხაიშელებს ეგონათ, რომ სილოვან კაცური კაცია და ქული ჰხურავსო. მიიღეს კოლმეურნეობაში. კოლმეურნეობას კი ჩაის პლანტაციები აქვს.

— ჩაი, ყმაწვილებო, მე ერთობ მიყვარსო, — განაცხადა სილოვანმა. კოლმეურნეობა „ლენინის გზის“ მესვეურებმა დაიჯერეს და სილოვანს საქმე ჩააბარეს.

— ჩაის მოვლა-მოყვანა, რომ ჩვენი საბრძოლო ამოცანაა, ეს ქე ვიცით და უნდა დავამტკიცოთ ჩაის სიყვარულიო, ჩაბუღბულა სილოვანმა. ეს რომ გაიგონეს, გოჩა-ჯიხაიშელებმა, სილოვან ანდრიაძე ბრიგადის აგიტატორად გამოყვეს.

სილოვანმა ასეთი წარჩინება, რომ მიიღო, გაამაყდა და გაზარმაცდა. გამოიკვია, რომ მას ჩაი ჰყვარებია, მაგრამ მხოლოდ დაშაქრული და ლიმონჩაგდებული. ჰყვარებია უფრო მეტად კაი ცოლი-კოური, სვირული, კახურცი ოლონდ ჩაციებულნი.

თვით ჩაის მოყვანა, მოხვნა, გათონხა — თვალის დასანახად სძულვებია.

— ჰქუაზე ხომ არ შეიბრტეთ ბიძია? თოხნასთან რა საქმე მაქვს, როცა მე აგიტატორი ვარ და გნაცი მძვრება აგიტაციის ტარებით? — ისტუმრებდა ის ბრიგადის წევრებს, როცა ისინი ჩაის გათონხაზე, ან ნიადაგის მომზადებაზე მიმართავდნენ.

— ბოჰო, ღდინი მძვრება ამ თოხნისაგან, სად მკალია აგიტაციისა და მისთანებისთვის? — უპასუხებდა ის კოლმეურნეებს, როცა მოითხოვდნენ მისგან სააგიტაციო მუშაობის გაშლას.

ასე და ამგვარად სილოვანმა არც აგიტაცია გაშალა და თოხნის საქმეც ჩაშალა.

სილოვან გააფრთხილეს.

— ხი, ხი, ხი, ხი, — ჩაიხითხითა.

სილოვან ანდრიაძეს შენიშვნა მისცეს.

— ხა, ხა, ხა, ხა, გადიხარხარა.

როცა გამოსწორების იმედი დაეკარგათ კოლმეურნეობის ვამგეობის კრება მოიწვიეს და სილოვან ანდრიაძის ვიგინდარული მოქმედება ამხილეს. განსაკუთრებით გაკიცხა ბრიგადირმა ივანე ანდრიაძემ.

სილოვანმა უღვაში გადიგრიხა.

— გამოდის რომე სიცოცხლე მოგებზრებია, მაშ მე სილოვანი აღარ გყოფილვარ, თუ ცხვირი ბუკივით არ გაგიხადე!

იგრგინა სილოვანმა, ტრიბუნისაკენ მოადინა ფხეკა და მთელი გამგეობის თვალწინ მართლაც „ცხვირი ბუკივით გაუხადა ივანეს“.

ამრიგად, სილოვანმა კრებას უჩვენა ხულიგნობის „მაღალი კლასი“.

სილოვანი კრებიდან გააძვევს.

— აჰა, მაშ თუ სილოვანი მქვიებია გიჩვენებთ ყველასო. ჩაიგრიხა მეორე უღვაში და მუქარა ესროლა მთელ გამგეობას.

ეს გახლავს ამ ისტორიის პირველი ნაწილი.

სილოვან ანდრიაძის ზოოხასიათის მეორე ნაწილი იქიდან იწყება, რომ ეგი უმაღლე სახლში გაფრინდა, ჩაქან ჯავშანი ჩააცვა თავის ძმებს ანტონს და ონოფრეს, სამივემ მსხვილი კეჭები დაიჭირეს და ტყისპირას გზაზე, ჩაუსაფრდნენ კოლმეურნეებს და როცა ივანე ანდრიაძემ გაიარა ეძვერენ მაგრამ ივანე ანდრიაძე კეტოსანი „გმირების“ ხელიდან როგორც იყო სიკვდილს გადარჩა, სოფსაბჭოს და პარტორგანიზაციის მუშაკების წყალობით.

აქ ჩვენ შეგწყვეტთ ლაპარაკს, რადგან დავეთანხმებით, რომ ამის შემდეგ კეტოსან სილოვან ანდრიაძის „გმირობის“ შესახებ პროკურორმა უნდა ილაპარაკოს.

თარსი





ერთხელ თურმე ერთ მხარეში ერთ უბანში, ერთ სოფელში — სამი ექიმი ცხოვრობდა გასასინჯავ „ტრუბკით“ ხელში.

თუმც პრაქტიკა ბლომად ჰქონდათ კვლავცა მეტის ჰქონდათ მადა, და ჭიშობდნენ ერთმანეთში ფარულად და ზოგჯერ ცხადად.

რას არ ნახავ ამ სოფელში, ვინ რა იცის რა მოხდება?! ზოგჯერ მიწაც შეინძრევა და მთის მწვერვალს მთა მოხედება.

თუმც ექიმთა ცხოვრებაში მთის მწვერვალი მთას არ მოხვდა, მთები დარჩნენ თვის ადგილზე, მაგრამ მაინც ასე მოხდა:

ერთ საღამოს, ერთ უბანში, ბრმა შემთხვევით, ალაღბედად შეიყარნენ ერთ ადგილზე ექიმები, - სამივე ერთად.

ჯერ გახსნილად განაცხადეს მათ „სესია“ სამეულის — და შემდეგ კი თავის ქებით მოჯერება იწყეს გულის.

პირველმა სთქვა: დამიჯერეთ, ქვეყანაზე არსად არი ჩემისთანა ხელმარჯვე და გამოცდილი დოსტაქარი.

არ მიჯერებთ? დაგანახვებთ რას ჩავიდენ, რა მოხდება, ისეთ საქმეს გავაკეთებ, სასწაულად ჩაითვლება:

მე მოვიჭრი საკუთარ მკლავს, აქ დავდებ და შევინახავ, და ცალხელი ერთი კვირით გზებს გავყვები, სოფლებს ვნახავ,

და როდესაც შვიდ დღის შემდეგ მგზავრობიდან დავბრუნდები, მკლავს ავიღებ, მივიღებ და მყისვე ისევ განვკურნდები.

მეორემ თქვა: „მიქარვა!“ ქვეყანაზე არსად არი ჩემისთანა ხელმარჯვე და გამოცდილი დოსტაქარი.

ჩემი ხელი ისეთია, ვით ძვირფასი სამკაული, მე რომ საქმეს გავაკეთებ, გეგონებათ სასწაული.

ამოვიღებ საკუთარ თვალს აქ დავდებ და შევინახავ, და ცალთვალი ერთი კვირით გზებს გავყვები, სოფლებს ვნახავ...

და როდესაც შვიდ დღის შემდეგ მგზავრობიდან დავბრუნდები, თვალს ავიღებ, კვლავ ჩავისვამ და მე ისევ განვკურნდები.

მესამემ თქვა: რასაც ამბობთ უბრალო და ადვილია, მე კი ვერვინ შემედრება, არ იფიქროთ — ქადილია.

თქვენ მე მკითხეთ, რასაც ვიხამ და მაშინ თქვით ვინ რა არი, სასწაულიც არსად თქმულა რასაც მე ვიქ, მისი გვარი.

საკუთარ გულს ამოვიჭრი, აქ დავდებ და შევინახავ, და უგულოდ, ერთი კვირით, გზებს გავყვები, სოფლებს ვნახავ.

და როდესაც შვიდ დღის შემდეგ მგზავრობიდან დავბრუნდები, გულს ავიღებ, კვლავ ჩავისვამ და მე ისევ განვკურნდები.

რაც მათ სიტყვით დაიქადეს, შესრულება საქმით სცადეს გული, მკლავი, ცალი თვალი მოიცილეს, იქვე დადეს.

რომ ფისოს არ შეესანსლა მათ სხეულის ნაწილები, ან სხვა ვერგან მტაცებლისა აცდენოდა ბრჭყალ-კბილები, —

ყარაულიც დაუყენეს ერთი კაცი ვინმე პართენ, და თვითონ კი სხვადასხვა გზით სოფლებისკენ გაემართენ.

მოიქანცა ყარაული დაიძინა ერთხელ ღამით, წუწკი კატაც დროს უცდიდა ისარგებლა ფისომ ამით.

იმას სუნი სხეულების იზიდავდა ანდამანტათ, და როგორც კი დრო იშოვა საკბილოსთან გაჩნდა კატა.

ორი კატაც სხვა მოვიდა ფეხი აღარ აითრიეს, და საკბილო ფისუნებმა სათითაოდ დაითრიეს.

გაიღვიძა ყარაულმა შემოიკრა თავში ხელი, ვერსად ნახა დაკარგული, დღე დაუდგა განსაცდელის.

განრისხდა და მოჰკლა კატა, გაღუხადა მსუნაგს ვალი, უცებ ხერხი მოიგონა ამოუღო კატას თვალი.

დაჰკლა ღორი, წინ დაიდო ბასრი დანით გაფატრული, და ღრუტუნას თბილ მკერდიდან ამოუღო ფრთხილად გული.

მისდა ბედათ უთხრეს პართენს ქურდი მოჰკლა ვილაცამო, გზის პირს გდია მისი გვამი მივაყაროთ მიწა, წამო!

გაიხარა ყარაულმა თქვა ამზორდა განსაცდელი, წავიდა და იმ ქურდს მყისვე მიათალა ცალი ხელი.

როს დაბრუნდა ექიმები, სადაც ჰქონდათ შენახული, იმ ადგილზე კვლავ დაუხვდათ იმათ თვალი, ხელი, გული...

და სამივემ უმტკივნელოდ, მხიარული გაცინებით, აიღეს და აღიდგინეს მათ სხეულის ნაწილები:

ერთს დასჩემდა ღორის ნდომა, მეორე კი კატის თვალით წუწკ მტაცებელს დაემგვანა შიშისაგან ფერგამკრთალი.

მესამე კი, ვისაც ჰქონდა ქურდის ხელი გამოზმული, სხვის ჯიბისკენ მიიწვედა იძახოდა: „ფული! ფული!“...

მალე მიხვდნენ ექიმები რაც უცვლიდა მათ ბუნებას. და ისურვეს სამარცხვინო სენისაგან განკურნება...

ჩვენს სოფლებში, ჩვენს დაბებში ზოგჯერ დღესაც მეგულება მე მკურნალი, რომლის ქცევამ მომაგონა ეს თქმულება.

მეც „შევხარი“ იმათ ქცევას, ფეშქეშ მათთვის ესე ძღვენი!.. ო, ძვირფასო მკურნალებო, განიკურნეთ თავი თქვენი!

მადლუა





# ვინ არის დაბნეული?



ჯერ კიდევ კარგად არ გათენებულიყო, რომ ჩვენს ეზოში ერთი ალიაქოთი ატყდა:

— როგორ გაბედეთ, როგორ გაბედეთ მეთქი, — ყვიროდა მარი პეტროვნა და თან ხელში მოზრდილ კეტს ატრიალებდა.

— აგვიკლო შენმა ძაღლმა, მეტი აღარ შეგვიძლია, გულშინ იულისას ნახევარი ქათამი შეუჭამა, მე 6 კვერცხის „იაიშნიცა“ შემითქვლითა კერასინკაზე დადგმული, დღეს კიდევ მურაბაზე შევისწარი და გაგვექცა მურაბის ბანკაში თავგაკვეთილი. ბოლოსდაბოლოს რაშია საქმე, ველარაფერი შეგვინახავს.

— იმიტომ რომ შეჩვეულია კარგ კვებას ვენაცვალე. ამას ნუთუ კულტურული ქამისათვის მას ზურგზე ჯოხი უნდა გადაატეხოთ... არა გრცხვენიათ? სადა გაქვთ ლოლიკა? განა ეს ძაღლია? ძაღლი კი არა ოქროა, ვენაცვალე ამას, — ამ სიტყვებზე მარი პეტროვნა ძირს დაიხარა და „ჯეირანს“ შიგ ტუჩებში აკოცა.

— უი, უი, რასა შვრება, ტუჩებში კოცნის, როგორ უყვარს!.. — ჩაილაპარაკა ჩხუბის შემყურე ერთ ერთმა ქალმა.

— რაო? უყვარსო? მაშ არა და...

— ქმარი როგორ გაძღვეს მაგის ნებას...

— რაო? ნებასო? ახლა ქმარსაც მილანძღავთ? დიომიდე, დიომიდე, გამოდი გარეთ, რა სიტყვებს ხარჯავენ ჩვენზე, დიომიდე მეთქი...



— რა მოხდა ქალო? — იკითხა საცვლების ამარა გამოსულმა დიომიდე.

— შენ, ჩემი ქმარი თუ ხარ პასუხი გაცე ამ არამზადებს, მაგათი ბავშვები დღედაღამე არ გვასვენებენ და მაგათ კი „ჯეირანმა“ რომ მურაბა შეუჭამა ის ვერ აუტანიათ!

— გაჩერდი ქალო, რა მოგივიდა, შედი სახლში, — უწყებოდა დიომიდე.

— რაო? შენც მე მამტყუნებ? მეტი აღარ შემიძლიან... მიშველეთ... და „გულშეწუხებუ-ლი“ მარი პეტროვნა იატაკზე გაიშოტა.

— არიქა, გული შეუწუხდა, — წამოიძახა მეზობლის ვაჟმა და მარი პეტროვნას თავზე ერთი ვედრო წყალი გადაასხა.

მარი პეტროვნა კატასავით წამოხტა ფეხზე და დიომიდეს მივარდა:

— ქმარი ხარ თუ ლაჩარი?, ხომ ხედავ რას გვიშვრებინან? მილიცია, მილიცია, დვორ-

ნიკ, დვორნიკ! მილიციას დამიძახე, ჩქარა, ჩქარა! — ყვიროდა მარი პეტროვნა და აქეთ-იქით დარბოდა.

დიომიდე დაბნეული იდგა და გამოურკვეველი უტყუროდა ყოველივე ამას.

„ჯეირანმა“ შეიყეფა და ვედრიან ვაჟს გოგის, შარვალი დაატოვებინა.

— ვაიმე დედა, მიშველეთ, — დაიღრიალა გოგინ და უკან ხელი წაივლო.

სიანსი თანდათან ვითარდებოდა...

— მოვკლავ, ახლავე დავახრჩობ! — ყვიროდა გოგის მამა და ძაღლისკენ იწევდა.

— შვილის მაგიერ ძაღლს ეფერებით თფუი თქვენს ოჯახს...

— შვილი გაიჩინეთ უმჯობესია!

— ყველა შვილზე უკეთესია ჩემი „ჯეირანი“, პასუხობდა მარი პეტროვნა.

— ეგ ჩვენი საქმეა შვილს გაიჩინეთ თუ კატას, — აღმოხდა დიომიდეს პირიდან.

დილის სანახაობა საათის 12-ზე დამთავრდა.

სალამოს მარი პეტროვნას მეტად არასასიამოვნო აღერსი ესპოდა მეზობელ ოთახიდან: 1 წლის ბავშვს აბანავებდნენ მშობლები, და მათი სიცილი გულზე ესობოდა მარი პეტროვნას.

— შენი ჭირიმე, ჩემი ვაჟკაცი, ოქრო ბიჭი, — ისმოდა მშობლების სააღერსო სიტყვები.

— აბანავებენ... — გაბედა დიომიდე.

— დიად, აბანავებენ, მაშ ჩვენ ველარ ვაბანავებთ თუ? ჩქარა წყალი შეადგი.

წყალის გათბობამდე დიალოგი გაიმართა:

— მარინე, სირცხვილით ვკედები კაცი...

— რაზედ?

— აი დღეს ხომ გაიგონე, რა სთქვეს: შვილი გაიჩინეთო.

— მერე?

— უმაგისოდ ოჯახი არ ვარგა.

— მერე?

— მერე და რომ იძახი შვილი არ მინდაო, როდემდის გინდა ასე იცხოვრო.

— სულ...

— ნუ ხარ ჯიუტი.

— არ მინდა, არა, ხომ გაიგე, აგერა მყავს ჯეირანი და ეგ საკმარისია... მერე, ოდესღაც ჩავკედები...

— „ჯეირანი“ კი ჩაგაკედება მაგ სულში, ადამიანურად თუ იმსჯელო ცხოვრებაზე. — გაცხარდა დიომიდე, — გაყავდეს ეს ძაღლიც, — მერე შვილმა რაღა დააშავა?!


— ენა ნუ წაიგრძელე, ჩქარა წყალი დამისხი...

— „ჯეირან“, შენი ჭირიმე, ჩემო ბიჭიკო, ჩემო ჭკვიანო ერთად-ერთო იმედო, ჩემო სიცოცხლე, უი შენი ჭირიმე, აბა ტანი დაიბანე, სუფთა ბიჭი მეყოლები... აბა, დიომიდე, წყალი მოიტა!..

დიომიდე ფიქრმა გაიტაცა: მეზობლების აღერსს შენატროდა. სევდას გრძობდა გულში. დიომიდემ მექანიკურად აიღო ქვაბი ხელში და წყალი ერთბაშად გადაავლო თავზე „ჯეირანს“. ძაღლმა ერთი საშინლად დაიკმუვლა და ძირს დაეცა. მღუღარე წყალმა ქათამივით გაბუტა „ჯეირანი“.

მარი პეტროვნას კივილზე მთელი მეზობლები შეიყარა...

შუალამიმდე არ შეწყვეტილა მარი პეტროვნას მოთქმა-გოდება.



მეორე დღეს ჯეირანი სუფთა ლოგინში იწვა. მარი პეტროვნას მიერ მოყვანილი ვეტერინარები იმედს აძლევდნენ დაზარალებულს.

ამაო გამოდგა ყოველგვარი რეცეპტი.

„ჯეირანი“ მოუსაკლეთისაკენ წავიდა.

დაჯავრიანებული მარი პეტროვნა ეხლა მარტო ცხოვრობდა. იგი გაეყარა დიომიდეს. მიზეზი „ჯეირანის“ დადღვრა იყო.

ჯეირანის გარდაცვალების წლისთავზე მარი პეტროვნამ თავის წერილის პასუხი მიიღო დიომიდესაგან:

— „პატივცემულო მარი პეტროვნა, თქვენმა ბარათმა მეტად იმოქმედა ჩემზე. იწერებთ: „სანამ მქონდა შვილის გაჩენის საშუალება მაშინ ათასგვარ ხრიკებს მივმართავდი, ხოლო როცა მარტო დავრჩი და ვიგრძენი ცხოვრების ძალა მივმართე ექიმს, მაგრამ მან აშკარად განმიცხადა რომ შენ შვილი აღარ გეყოლებოა“. სამწუხაროა, რომ გვიან მიხვდი ყოველივეს, რაც შეეხება ჩვენს შერიგებას ეს ყოველად შეუძლებელია. მე უკვე 10 თვის ბიჭი მყავს, რომელსაც ყოველდღიურად ვაბანავებთ. მე ბედნიერი ვარ. შვილი ყოველგვარ „ჯეირანზე“ მეტად საყვარელია, გისურვებთ ყოველივე კარგს“:

დიომიდე.

მარი პეტროვნა იქვე ჩაიკეცა.

კ. გოგიაშვილი.





აგერ რტი დღეა, რაც ერთერთი დაბის საავადმყოფოში წევს არხიპო ნემსიწვერიძე და გაწერას ელოდება.

ეს ეს იყო უნდა გაწერილიყო, რომ სწორედ ამ დროს დაატყდა თავზე უბედურება. მკურნალმა ექიმმა უარი უთხრა გაწერაზე.

— როგორ შეიძლება, ჯერ უნდა გავიგოთ რითი იყავი ავად და შემდეგ შეიძლება გაწეროთ,—დაიჟინა ექიმმა მახათაძემ, — კონსილიუმს მოვიწვევ, უსაუფოდ მოვიწვევ... შენ გგონია ვერ გავიგებთ რითი იყავი ავად? არხინად ბრძანდებოდე, უმკველად გავიგებთ და დედასაც უტირებთ.

— ამხანაგო ექიმო, რა შავკირად მინდა ესლა იმის გავება, თუ რითი ვიყავი ავად, ეს დროზე უნდა გავგვოთ. ვსთქვით რაღაც იყო, ახლა ხომ ხედავ კარგად ვარ?

— შენ რა ძალიან გააჭირე საქმე,—მწყრომიარე თვალებით გადახედა ექიმმა არხიპო ნემსიწვერიძეს აგერ სიცხიანი ავადმყოფები წვანან და ჩუმად არიან, შენ კი რა ღმერთი გავიწყრა, რა მოგვიდა, როგორ სულ აიკელი აქაურობა?!

— რა ვქნა ბატონო, ამ თქვენმა დიეტამ სულ გამათავა კაცი, ვკვდები შიმშილით, მიშველეთ რამე!...

— არაფერია, ცოტა კიდევ მომითმინე. დღესვე იქნება კონსილიუმში... ან კი რა ჯობია აქ წოლას... კარგი მოვლა, ყურადღება, წესიერი მკურნალობა და რა ვიცი კიდევ რამდენი რა. კაცს თუ სიკვდილი არ უწერია, აბა აქ რად უნდა მოკვდეს! და თუ მაინცადამაინც მოკვდება—ეს ისევ საკუთარ თავს უნდა დააბრალოს—სიკვდილი სდომებია და ჩვენც ხელს აღარ უშლით.

ექიმი გავიდა. დარჩა არხიპო ნემსიწვერიძე და მის ახლო მწოლი ავადმყოფი, ისიც არხიპოსავით დიეტით მისუსტებული.

— გავიპაროთ კაცო.—მოესმა არხიპოს მეზობლის ხმა, რომელიც მისსავე დღეში იყო და გაწერას ელოდებოდა.

— რას ამბობ კაცო, როგორ გავიპაროთ?

— როგორ და ისე, როცა დაღამდება, გავალოთ ფანჯარა და ჰაიდა.

— კი მარა, საცვლების ამარა, როგორ წავიდეთ, ვიდაცას გიჟები ვეგონებით... დაგვიჭერენ... გავგაბახებენ; არა ძმაო, ეს არ გამოდგება.

— აბა იწევი აქ და იშიმშილე.

სალამოს მართლა მოსინჯეს საავადმყოფოდან გაპარვა, მაგრამ ნემსიწვერიძის მეზობელი დიეტას ისე მიესუსტებინა, რომ ლოგინიდან წაშოდგომისთანავე ჩაიკეცა. ნემსიწვერიძემ მაინც იმარჯვა. ხალათი გადაიკვია, ფანჯარა გააღო და ჰაიდა. დიდხანს იტრიალა საავადმყოფოს ეზოში. ცდალობდა სანიტრებს არ დაენახათ, მაგრამ ამოღო, როგორც იყო, სანიტრებმა შენიშნეს, მცისვე დაიჭირეს და თავის პალატაში დააწვინეს.

— დააკარით ლოგინზე, ლოგინზე დააკარით!—ყვიროდა ექიმი მახათაძემ,—მე მაგას უჩვენებ, როგორ უნდა საავადმყოფოდან გაპარვა!

— ამხანაგო ექიმო, ბატონო, ხელმწიფევე საყვარელო, გაიგე, შეისმინე, გამწერეთ აქედან, არა ვარ ავად, არა!

— მაშ, თავს არა გრძნობთ ავად?

— არა ბატონო, მოკეთებული ვარ, გამწერეთ ღვთის გული-სათვის.

— როცა ავადმყოფი თავს ავად არ გრძნობს, ეს უკვე ცუდი ნიშანია... თქვენ მოქალაქევე, მგრძნობელობის ატროფია მოგსვლიათ... ეს კი მეტად რთული სენია...

— რის ატროფია ბატონო, დიეტა მკლავს შენი ჭირიმე, შენი სათაყვანებელი დიეტა, იმას ამოუვარდეს ფესვი და ჯილაგი, ვინც მაგ მოიგონა.

— როგორ თუ დიეტა გკლავს?

— მკლავს ბატონო, სულ მანადღურებს.

— თქვენ მაგის ნუ გედარდებთ. არავის უფლება არა აქვს უნებართვოდ მოკვდეს. იწევი წყნარად, ნერვები დაიმშვიდეთ, თუ კიდევ გაიბედავთ საავადმყოფოდან გაპარვა—მამის სულის ცხონებაზე ზედ ლიგინზედ თოკით მიგაკრავთ, გაიგე?

— ვაი ჩემს დღეს და მოსწრებას. გავიგე ბატონო, მარა ნუ ინებებთ მაგას, არა ვართ ნემსიწვერიძეები ასე ასავადები ხალხი, კაცური კაცებიც ბევრი გვირევი, რაღა ჩემი უინი ჩავივარდა შე მამაცხონებულიშვილო.

— შენ რა გვარიშვილობით მოგაქვს თავი! შენ თუ ნემსიწვერიძე რიძე ხარ, მე მახათაძე ვახლავარ... აი, ხომ ხედავ, როგორ ცუდი ლობ შენთვის... შენ კი... ო, მობრძანდი კოლეგა, მობრძანდი... სწორედ თქვენ გიცდიდით... ეს ავადმყოფია მე რომ გელაპარაკებოდი, სიცოცხლე რომ გავვიმწარა. გთხოვთ გასინჯოთ... დააქციეს ღმერთი აქაურობას! სოფელში რომ ვმუშაობდი პატივისცემაც მეტი მქონდა და ფულიც, არც პასუხისმგებლობა იყო ამდენი... აქ კი, გახდება ვინმე ავად თუ არა, შენი წამალი არც კი მიუღია და ჭირვეულობას უმალ იწყებს: ის არ უნდა, ამან არ არგო, ეს ცუდათ მოქმედებს, ერთი სიტყვით აღარა აქვს საყვედურს საზღვარი... ისეთი პრეტენზიებით მოდიან, თითქოს ექიმები ვალდებულები ვიყვეთ, პაციენტები ავადმყოფობისაგან მოვარჩინოთ. აბა ასეთი თავხედები არიან! ის კი არ იციან, რომ ჩვენი საქმე სულ უბრალო რამ არის: ავადმყოფს მოუსმინოთ, წამალი გამოუწეროთ, იმედიანი სიტყვა ვუთხრათ და თუ მაინცადამაინც მოარჩენა აინტერესებთ, ეს თვითონ უნდა იყოჩაღონ და მოარჩენ თუ კაი ბიჭები არიან!—დაასრულა თავისი მონოლოგი მახათაძემ და მოსული ექიმი მიიპატიჟა ავადმყოფ ნემსიწვერიძესთან.

— თავს როგორა გრძნობთ.—შეეკითხა ექიმი ნემსიწვერიძეს.

— ცუდათ ბატონო...

— ძილი კარგი გაქვს?

— რა დამაძინებს შენი ჭირიმე მშიერ კაცს!.. გველნაკბენს შეიძლება ძილი მოეკიდოს, მშიერს კი არაო, ეს მაინც არ გავიგონიათ, თქვე დალოცვილო?!

— კი, მაგრამ, რა ძალა გადგათ. რატომ შიმშილობთ?

— აგერ ბატონო, აგერ, კითხე ამ ჩემი ცოდვით სავსეს, რაზე მკლავს, რა დაფუშავე ერთი მითხრას, რაზე დგება ჩემი ცოლშვილის ცოდვაში!

— საკვირველია კოლეგა, მართლაც და რაზე არ გასწერთ ამ კაცს, რაკი მორჩა, წავიდეს და ხერი ნახოს.

— როგორ შეიძლება,—გაწყრა მახათაძე,—ჯერ დიაგნოზი არ დამისვამს, მკურნალობის ისტორია არ დამიწერია, ერთი სიტყვით საჭირო პროცედურა არ მომხდარა და ისე გავწერო! რას ამბობთ, ყმაწვილო, ხომ არ შეიშალებთ?

— შეშლა რა შუაშია მეგობარო, კაცი მოარჩენილია, თვითონაც გაწერას თხოულობს, გამასწორებელი სახლი ხომ არა ხარ, რომ არ უშვებ?—აქ მახათაძე ცოტა არ იყოს შეიქმუნხა, ცივი თვალ-ბით გადახედა თავის კოლეგას.

— როგორ მწყინს, ასეთი სახელგანთქმული ექიმი ბრძანდებით და უბრალო რამეში ვერ ერკვევით, დიად, სრულიად ვერ ერკვევით!

— რაო? როგორ, თუ ვერ ვერკვევით?

— როგორ და ისე, ვერ ერკვევით!—გაღმოკაკლა თვალები მახათაძემ,—ეს მცოდნოდა, მამის სულის ცხონებაში, სათათბირო-დაც არ მოგვიწვევდით, მორჩა და მოისვენა.

— აქ მე გასალანძლათ მომიწვიე, თუ საქმეზე ამხანაგო?

— წადი, დაიკარგე იქით! შენისთანა ექიმს, ექიმბაშები ჯობია, ექიმბაშები. მამის სულის ცხონებაში.

— რაო, უყურეთ ერთი ამ ყვავების საფრთხობელას. შენ იყავი ვაჟბატონო ამას წინათ კუჭის წვენის ამოსაღები ზონდი, საყლაპავის მაგიერ სასულე მილში რომ გაუჩხირე ავადმყოფს და დაახრჩვე კიდევ!

— მაგ რა ჩემი ბრალია ბიძია. რაღა სასულე მილში გადაუძახა იმ ჩემი ცოდვით სავსემ, ჩვეულებრივად გადაეყლაპა და ქე იქნებოდა ახლა ცოცხალი. მარა ეს რა მოსატანი იყო ესლა? ერთი შემთხვევისაგან არავინ არის დაზღვეული. აბა, წადით და კითხეთ იმ ავადმყოფებს, რომელსაც მე ვექიმობდი, ჩემზე თუ ცუდს რამეს იტყვიან?—შეეკითხა ამაყად მახათაძე.

ცუდს რაღას იტყვიან დალოცვილო, შენმა დიაგნოზმა და წამლებმა ყველას ენა ჩაუგდო სამუდამოდ.

— მოგველა, მამის სულის ცხონებაში ცოცხალი ვერ გადავირჩება, ეს ოყრაყი ესა!—დაიბოხინა მახათაძემ და ეცა თავის კოლეგას. შეიქნა დიდი აურზაური, სანიტრები მიცვივდნენ მახათაძეს, მაგრამ ამოღო, მისი დაჭერა ვერავინ შესძლო... ამ დროს იხელთა დრო არხიპო ნემსიწვერიძემ, ჩაიკეცა ხალათი და ჰაიდა, გასწია სახლისაკენ. ამჟამად არხიპო ნემსიწვერიძე კარგად გრძნობს თავს და სახლშია, ხოლო ექიმი მახათაძე გამსახლში.





— შეუძლია თუ არა, შენს ბიჭიკოს რეზინის პატარა ბურთი ხუთ ნაბიჯზე გაისროლოს?  
— არ შეუძლია; რადგან რეზინის პატარა ბურთს თბილისში ვერსად იშოვნენ.





## ბიულეტენების ვაზირი

ვინ არ იცნობს ზუბალო ჩარირამას: ძუძუმწოვარა ბავშვმაც კი იცის მისი სახელი. საკმარისია შეეკითხოთ:

— სად ცხოვრობს აქ ზუბალო ჩარირამა?

— აჰა, აგერ, კრამიტით დახურული სახლი რომ არის, ამ ქუჩის კუთხეში, იმაში ცხოვრობს—მივითითებენ თქვენ. ზუბალო ჩარირამას „ამბულატორია“ მამლის ყვირებზე იწყებს მუშაობას.

გათენებული არ არის, რომ ზუბალო ჩარირამა უკვე ისწორებს ვერცხლის სათვალევებს, ალაგ-ალაგ კოჭის ძაფით მიმაგრებულს.

ზუბალო ჩარირამა შეხედავს თავის პაციენტს და ხრინწიანი ხმით ეუბნება:

— ძან გტკივა ეს პაწაწა მუწუკი? არავითარი ბიულეტენი მაგისგან არ გამოვა ძამია.

— აჰ. დავლუბულვარ!

— ცოტა მოზრდილი რომ ყოფილიყო, ერთის ნაცვლად სამ ბიულეტენს გამოაცხობდა. რა გიყო, რა მოვიფიქროთ ახლა ჩვენ, ჰო, აი რა ძამია: დანაყე პილპილი და დაიხილე იმით ეგ მტკივანი ადგილი.

— პილპილით დავზილო?

— ჰო, მოქცემს სიცხეს და ისეირნე მერე.

— მაშ, ბიულეტენი გავარდებ, როგორც პროპა ხომ?

— რად უნდა ლაპარაკი... შემდეგი!—ხრინწინებს ზუბალო ჩარირამა.

— შენ რა გაქვს გაკაწრული? ნარვალა ეგ, თუ გაკაწრული? დაიდევ ზედ გარჩინიკი და ბიულეტენიც გვერდზე იქნება. ცოტას გახტუნებს, ცოტას ქეც გაყვირებს, მაგრამ უამისოდ არ იქნება გიყვარს სეიონობა, უნდა გიყვარდეს მოთმენა!

— შემდეგი! რაო? როგორ თუ არ გავანთავისუფლეს? მოიცა წყლული რომ გითხარი ცხელი რძით გადიბანე თქვა, რა ქენი? სიმულანტობა დაიწყე? რეცებტები გიწეროთ?

— შემდეგი! ღმერთო ჩემო... ადამიანს ფილტვები აღარ უფარგა და ჩემთან მოსულა. შენ ჩემო ძმაო, რომელ ამბულატორიაში გნებავს მიბრძანდი და ორთავიან ბიულეტენს კარებშივე შემოგაგებებენ. ღმერთო ნუ გამაგიჟებ. წადი ძმაო, წადი...

## მე დაფიქრებული ვიქნები, კოლეგა!

საავადმყოფოში სასწრაფო დახმარებით მძიმე ავადმყოფი მოიყვანეს. მისი გვარი ჩიტაძე იყო, ქარხნის მუშა.

იგი მეშვიდე პალატაში მოათავსეს.

„ნელა გაიხადეთ გენაცვალე, მოითმინეთ, მე მოგვხმარებით, აი, ასე, ჩემო საყვარელო, ეხლა საბანი გადაიხურეთ, ოო, ეგრე, ეხლა ეცადეთ დაიძინოთ და მალე „აბზოდოც“ იქნება. მოიცა, დღეს რა დღეა? ჰო, პარასკევი. მაშასადამე, თვითონ არკადი არკადიჩი გინახულებთ, არ იცნობთ? ო, ის არის საავადმყოფოს მთავარი ექიმი“.

ბედი გქონიათ გენაცვალე, ბედი, არკადი არკადიჩის მორიგეობის დროს მოხვედით. ეს ბედი ყველას როდი ეწვევა ხოლმე, ჩემო საყვარელო. არკადი არკადიჩი გაგსინჯავთ და იმ წამსვე ფეხზე დადგებით, ჩიტვით დაიწყებთ ფრენას.

არკადი არკადიჩის „ობზოდოც“ საათით გვიან დაიწყო, ვიდრე დანიშნულ დროს.

მთავარმა ექიმმა ჩამოიარა ავადმყოფები, ხოლო როდესაც მეცხრე ავადმყოფთან მივიდა და სინჯვა გაახანგრძლივა, რადგან აღნიშნული ავადმყოფი მთავარი ექიმ არკადი არკადიჩის აზრით, ყველაზე საინტერესო ავადმყოფი იყო სხვა ავადმყოფთა შორის.

როცა დაასრულა, უკვე ორს ათი წუთი უკლდა.

— ეხლა თქვენ განაგრძეთ პანტელ პანტელიჩი!—მიმართა არკადი არკადიჩმა კოლეგას,—მე სამის ნახევარზე ფიზიო-თერაპეტიულში მაქვს საათები. ჰო, მართლა, დღეს რომ ახალი ავადმყოფი მოიყვანეს, მგონი მეშვიდე პალატაში წვეს, არა? მოიცა, რა გვარია? ქარხნიდან დამირეკეს...

— ჩიტაძე ექიმი. — იყო ექთანის პასუხი.

— ჰო. ჰო. ჩიტაძე. დახედეთ და შემდეგ მითხარით ავადმყოფ ჩიტაძის შესახებ. ჰო, 8 საათზე, პროფესორ ზინკევიჩის ლექცია არ მეცლება. 9 საათზე თათბირი მაქვს. დამირეკეთ ზინკევიჩის სია, რა მდგომარეობაში იქნება ავადმყოფი ჩიტაძე, მაშ ასე, ჩიტაძის შესახებ მე დამშვიდებული ვარ კოლეგა.

„აა, გაიღვიძეთ? იცით რა გახართ? თურმე არკადი არკადიჩის სცნობიხართ, გიკითხა კიდეც. რას ინებებთ გენაცვალე, ჩის, თუ რძეს? იქნება ყავა მიირთვათ! შაქარი ბევრი გიყვართ, თუ ცოტა? კეთილი, კეთილი. სხვა, თუ რამე დაგჭირდეს დარეკე, აი, ზარის ღილი. მე იქითა პალატაში საქმე მაქვს. ეხ ნეტა მოვასწრებ დღეს ყველაფერის გაკეთებას? მაშ, ასე ჩემო საყვარელო, დარეკე, როცა რამე დაგჭირდეს“.

პანტელ პანტელიჩი ყველგან მუშაობდა, ისე როგორც მისი კოლეგა არკადი არკადიჩი, ამიტომ დრო ერთობ ცოტა რჩებოდათ საავადმყოფოში სამუშაოდ.

— კოლეგა, ქეთევან კონსტანტინოვნა!—მიმართა პანტელ პანტელიჩმა თანაშემწეს,—მე მაგვიანდება, ეხლა თქვენ განაგრძეთ ჩამოვლა იქ, მეშვიდე პალატაში ახალი ავადმყოფი წვეს. არკადი არკადიჩმა ჩამაბარა. მოიცა, რა გვარია?...

— ჩიტაძე, პანტელ პანტელიჩი.— იყო პასუხი.

— ჰო, ჰო, ჩიტაძე; ჩიტაძე ნახეთ და შედეგი მითხარით ან დამირეკეთ. ბალნეოლოგიურში ვიქნები დღეს 5-დან ექვსამდე. მაშ ასე, ავადმყოფ ჩიტაძის შესახებ მე დამშვიდებული ვარ კოლეგა!

— „ჩიტაძეს სძინავს? მაშ იძინოს, იძინოს.. ქეთევან კონსტანტინოვნა გულთბილი ექიმი. მის ხელში ავადმყოფს არაფერი უჭირს. მაშ ასე, მე წავედი“...

ქეთევან კონსტანტინეს ასული მუშაობდა კლინიკაში, საბავშვო ბაღში, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, ბალნეოლოგიურში, გარდა ამისა საავადმყოფოს ბიბლიოთეკაც ებარა.


— მორიგე მოვიდა?—იკითხა ქეთევან კონსტანტინეს ასულმა.—მაშ, აი რა, როდესაც მოვიდეს გადაეცი, ინახულოს მეშვიდე პალატაში. ახალი ავადმყოფი, მოიცა, რა გვარია?.. ჰო, ჰო, ჩიტაძე. ჩიტაძე, მე უკვე აღარ შემიძლია, სამი ღამეა არ მძინებია.

ამალამ კიდეც ნატალია ვასილევნას მაგივრად უნდა ვიმორიგეო. ჰო, ამას წინადაც არ მოვიდა, მე უნდა გამომიწეროთ ოთხი მორიგეობის ფული. მაშ ასე, მე წავედი. ავადმყოფ ჩიტაძის შესახებ მე დამშვიდებული ვიქნები კოლეგა!

— „რა გინდა საყვარელო? ტკბილი ხომ არაფერი გინდა? შენს პალატაში დანიშნულია პელაგია პლატონის ასული. მე შემიძლია ყავა მოვატანინო. რაო, ტკივილები გტანჯავს? იწექი, იწექი, არ გაინძრე. მორიგე ექიმი გაგსინჯავს, ნუ გეშინია, რაო? მესამე ღამეა არავინ გეკარება?! სუ გეთაყვა, ტირილი გავნებს. დაიძინე, დაიძინე! მე ეხლა ერთი საათი მაქვს თავისუფალი და შემიძლია ლაპარაკით გავართო, შეილები გყავს? ნუ ტრიალებ, წყნარად იწექი. შეგებულება როდის გაქვს? თქვენთან ქარხანაში დრამწრე არსებობს? ნუ კვენის გეთაყვა, იუუჰე!“...

უიმი ღმერთო ჩემო, სულ გადამაგიწყდა, რკინიგზის საავადმყოფოში უნდა გავიქცე, ზედმეტი საათების არ ამიღია. ჰო, იქაც უნდა შევიარო, საბავშვო ბაღში ადგილი ყოფილა, რა შენაღვლება, ავიღებ... იუღია ვალერიანის ასული, — მიუბრუნდა მეორე ავადმყოფს, ნატალია ვასილის ასული, — მე მივდივარ და ჩიტაძეს ყური უგდე. ნუ დარეკავ, თუ რამე დასჭირდეს, შენ თვითონ მიუტანე. მაშ ასე, წავედი. ავადმყოფ ჩიტაძის შესახებ მე დამშვიდებული ვიქნები კოლეგა!...





**1. უციო მკურნალი**

ცხოვრობდა მკურნალი, რომელსაც თავის ხელობის არაფერი არ გაეგებოდა. ერთხელ ჩაუფარდა ხელში ამ „მკურნალს“ ერთი ავადმყოფი, რომელსაც წინეთ, თურმე, სხვა მკურნალები არჩენდნენ.

ყველა წინადელი მკურნალი იმას ეუბნებოდა, რომ „საშიში არა არის-რა“, მხოლოდ ლოგინიდან დიდხანს ნუ ვადმოხვალ, თორემ გავიმიზეზდებაო.

ახალმა „მკურნალმა“ კი უთხრა: გირჩევთ, თქვენი საქმეები წესრიგზე მოიყვანოთ: საეჭვოა, ხვალამდის გააწიოთო. უთხრა ეს და წავიდა.

მერე დღეს გულგახეთილი ავადმყოფი ჩამოტოტყდა ლოგინიდან, უნდა გარედ გასულიყო და უკანასკნელად წმინდა ჰაერით ესუნთქა ისე დასუსტებული იყო, რომ ფეხებს ძლივს ადგამდა.

უცრად გზაზედ „მკურნალი“ შეხვდა. გაუკვირდა და უთხრა: — „როგორ მოგიკითხო, საიქიოს რა ამბავია?“

— უციო მკურნალების სიას ადგენდენ ჯოჯოხეთში გასაწვევად და მე რომ იქ არ დავსწრებოდი, გეფიცები შენ სიიდან მაინც არ გამოჩნებოდი.

**2. ვირი და ბეითალი**

ვირს ჩოჩორი ავად გაუხდა, ბეითალს მიუყვანა და თვალცრემლიანი შეევედრა:

— ბატონო ექიმო, ღეთის გულისათვის, შრომას ნუ დაჰზოგავ და ეს ჩოჩორი სიკვდის ვადაშირჩინე.

ბეითალმა ახედ-დახედა ჩოჩორს, მერე მიუბრუნდა ვირს და ასე უსაყვედურა.

— შენმა მზემ, ჩოჩორი რის მაქნისია — იმის გულისთვის თავი ავიტკიო და წამლები ვაკეთო?! ეგ თუ მოკვდა, მე ვიცი, ქვეყანა გადაბრუნდება!

გამობრუნდა გულნატკენი, ვირი თავის ჩოჩორით შინისკენ.

მაგრამ მალე ბედმა გაუღიმა: ჩოჩორს უკეთესობა დაეტყო და შემდეგ საესებით კარვად შეიქნა.

საუბედუროდ, ვირი ახლა თვითონ გახდა ავად.

მეტი ღონე არ იყო, ისევ იმ ბეითალს მიმართა.

— ბატონო, — მოწიწებით მოახსენა ვირმა, — სიკეთე მიყავ, მიწამლე და სამაგიეროდ, როგორც ვსურდეს, ისე მიმსახურე.

— ვირის წამლად ჯოხი გამიგია, — მიუგო ბეითალმა და სდრუზა საცოდავს ჯოხი.

წამოვიდა საბრალო ვირი შერცხვენილი, გამწარებული და იმედ მიხდილი.

მოხდა ისე, რომ ესეც უექიმოდ განიკურა.

ადგა გახარებული ვირი, გაიყოლა თან ჩოჩორი, მივიდა ბეითალთან და თავმდაბლად მოახსენა:

— ბატონო ბეითალო, მე და ჩემი შვილი გულითად მადლობას გიძღვნი სიკეთისათვის.

— როგორ, რას მასხრომ, მე თქვენთვის რა სიკეთე გამიწვივა? — ჰკითხა ბეითალმა.

— დიდი, ძლიერ დიდი, მიუგო ვირმა, შენმა უარმა დედა შვილს გვარგო: წამლობა რომ დავეწყო, შეიძლება ორივე დავღუპულიყავითო...

# ჩვენი ფოსტა

კიკელიკას (ღანირ-ქვიტირი) იწერებით:

„ამას სევასტის ჯიბრზე ვმღერავარ,  
შემომადღლიზა, რადგანაც ბლუზა,  
ჩვენი ზავხოზის მადლობელი ვარ,  
იმან მასტავლა ლექსების თხუზვა“...

გავაცანით ის თქვენი ზავხოზი, იქნებ ჩვენც გვასწავლოს ასეთი „ნიჭიერი“ ლექსების „თხუზვა“.

ბაღნარელს. (ზესტაფონი) თქვენი კოლოპერატიული პოემა ასე იწყება:

„უნივერსალში პრასი მოსულა  
მე ეგ საკითხი არც ქე მეხეზა,  
რომანებს დავწერ კლასიკოსურად  
პიესის წერვაც ქე მეხერხეზა“...

გეტყობათ ნიჭი, განაგრძეთ წერა ხოლო...

ო, რომ იცოდდე რა კარგს იზამდი,  
თუ ნაწერებს არ გამოგვიგზავნი!

ბიჭინიას. (სამტრედია) გაბედულად აცხადებთ:

„ლექსის საწერად ავიღებ კალამს,  
ვემასლაათო ცაში მთვარესაც,  
მმაჩის მდივანიც ქე მაძღვეს სალამს,  
ქე ვიცნობ მუკის თავმჯდომარესაც“...

დიდი საზოგადოებრივი დატვირთვა გქონიათ!

ყარფუშელს (თელავი) თელავის რამე-რუმეს ასე ათავებთ:

ეხლა აქ შევწყვეტ შაირსა  
ნიანგო ნუ გეწყინება,  
შემდეგში უფრო მეტს მოგწერ  
ჩემმა მუზამ თუ ინება“ -ო

ნიანგმა გთხოვათ, გვიშუამდგომლე თქვენი მუზის წინაშე, მეტს ნულარ ინებებსო.

აბატაშის. (ქუთაისი) „თქვენი: რაი ვარ მე“. უფრო ავტობიოგრაფიაა, ვიდრე პოეტური „ნაწარმოები“, მაგრამ გული რომ არ გაგიტყდეს, ამისათვის ვათავსებთ ნაწყვეტს:

„ბაზარში დავალ პრავეზიაზე,  
ვიანგარიშებ ჩოთქზე თუ ვნებავთ,  
უჩიტლობაშიც არა მყავს ტოლი,  
რა ვინდათ მე რომ აღარ ვიცოდდე  
ვიცი აგრეთვე სულყველაფერი  
რაი ფოსტაშიც მიმუშავანია  
პასუხისმგებელ მარკის დამკვრელად,  
გყოფილვარ დრამწრის სუფლიორადაც  
აგრეთვე ვმჯდარვარ ტროლეიბუსშიც  
როს ვიყავ თბილისს ექსკურსიაზე“...

აი, თქვენზეა ნათქვამი: წისკვილის ქვა არ დაბრუნებულა ჩემს თავზე, თორემ სხვა ყველაფერი მინახავსო.



არმხვეწი  
იზლირიქქ



გვიღობიანობის ანბელოსი და ფაუისტი „მკურნალები“

მ/მგ. რედაქტორი ი. ბ. ხომარაძი. კოლეგიის წევრები: ს. ბაჩიჩილაძე, ი. ვაკელი, ირ. აბაშიძე, დ. გილაუზილი.

რედაქციის მისამართი: ჯორჯიაშვილის ქ. № 5 ტელეფონის № 8-74-67. სტამბა გაშომცემლობა „ბოც რ. კ. კ. ა.“

გადაეცა წარმოებას 8/X. ხელმოწერილია დასაბეჭდათ 29/X 38 წ. შეკვეთის № 2661 მთავლიტის რწმუნებული № 3762. ტირაჟი 15000.